"მე შენ მიყვარდი, შენ მნამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

# ნიკოლაძის გაზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი №4 (282) 23 აპრილი, სამშაბათი, 2019 წელი; ფასი 1 ლ.

## გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

ღმერთი დედამიწაზე ჩამოვიდა, რათა ზეცად აეყვანა ადამიანი.
ქვეყანას რწმენა და სიყვარული თუ გააერთიანებს,
ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი!



ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მიგიჩნიეთ!
მოროცვისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიეთ,
მაცხოვნებელი შენ მათი წამწყმენდელად მიგიჩნიეთ,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!...

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღე კონსტიტუციით 9 აპრილია და არა 26 მაისი



**აქაც უნდა აღსდგეს სამართალი**

9 აპრილი ცრემლისა და სიხარულის დღეა

9 აპრილი ფოთში

**30 წელი 9 აპრილიდან, ეს იყო ერთიანობის აპოგეა**

მე-2-გვ.

## ზვიად გამსახურდია:
**საქართველოს გზა, არის გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა**
**ნუ გავამრუდებთ საქართველოს ღვთიურ გზას**



საქართველომ მისი პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების 80 წლისთავი აღნიშნა.
ერის მარადიული ტკივილი-
ერთი საუკუნის 2 დიდი ტრაგედია-
წინამურიდან - ხიბულამდე

მე-2-გვ

## ნატო-საქართველო პარტნიორობის ახალი ეტაპები



ნატოს გემები-შავი ზღვის ფოთის აკვატორიაში

მაიკო აიაკაძე... მე-2-გვ

## ქალაქ ფოთის მერი, გოჩა კურდღელია:
ფოთის მომავალი ახალი პორტების მშენებლობას უკავშირდება

**ორი ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობაზე 2000 კაცი დასაქმდება**



ამასწინათ ხელი მოეწერა ამერიკის შეერთებული შტატების კერძო უცხოური ინვესტიციების კორპორაციასა და „პეის ჯგუფს" შორის ძალიან მნიშვნელოვან ხელშეკრულებას. ამ ხელშეკრულების თანახმად, ქალაქ ფოთში აშენდება ახალი პორტი და ტერმინალი. რაც საშუალებას მოგვცემს საქართველო გადავაქციოთ რეგიონისთვის ეკონომიკურ ცენტრად, ხოლო ამ ყველაფერში ლოგისტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ეს იქნება თანამედროვე სატერმინალო კომპლექსი, რომელიც დიდად დაეტყობა ქვეყნის და რეგიონალურ ეკონომიკასაც. ამერიკის მთავრობის მე-3 გვ.

## 14 აპრილი - დედაენის დღე




**გზა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ აქედან დაიწყო**

თავგანწირული ბრძოლა ეროვნულობისათვის, სამშობლოსათვის,
ერს აერთიანებს სამი მთავარი სვეტი-
ენა, მამული, სარწმუნოება
ენის გარეშე არ არსებობს ერი

## ვულოცავთ სრულიად საქართველოს
**უძლეველი ქართული გენის ტრიუმფი**



ლაშა ტალახაძემ ახალი რეკორდი დაამყარა

ქართველმა გოლიათმა ლაშა ტალახაძემ ორი რეკორდის გაუმჯობესება მოახერხა: აკვრაში მან 264 კგ აწია, რაც მსოფლიო რეკორდია. ორჭიდის ჯამში კი-418 კგ, რაც ასევე მსოფლიოს საუკეთესო შედეგია. ლაშა ტალახაძე მძიმე წონაში საქართველოს ჩემპიონი გახდა.

## ოთარ შალამბერიძე-
**მივიწყებული დიდი პოეტი**



ორი ეპოქის გადასახედი

**რა დიდი გზიდან მოდის, თუმც, ვერ მოაღწია ჩვენამდე**

ძირს სათანადოდ დავაფასოთ მისი შემოქმედება-როგორც დიდი ლიტერატურული საგანძური

მე-5 გვ.



## 29 აპრილი ხსოვნის დღეა
სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება
წინაპართაგან წავიდა ყველა...

მე-7 გვ.



## I ფუთი
კოლხური ცივილიზაციის განათლების ცენტრი

**„ჯერ კიდევ როდის, ჯერ კიდევ როდის ფოთობდა ფოთი, ჯერ კიდევ როდის გვისხდიდნენ ბოდიშს"...**

მე-6 გვ.

## ფოთში ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს მიეძღვნა ახალგაზრდობა საქართველოს პირველი პრეზიდენტის- ზვიად გამსახურდიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას მიუბრუნდა



2019 წლის 31 მარტს სრულიად საქართველო პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილეს აღნიშნა. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, საბიბლიოთეკო გაერთიანების დარბაზში ფოთის საზოგადოება, პირველი პრეზიდენტის თანამებრძოლები და მხარდამჭერები შეიკრიბნენ. ზვიად გამსახურდიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის მკვლევარებმა, ახალგაზრდა მწერლებმა ზვიად კვარაცხელიამ, გიგი გიოშვილმა და გიორგი არქანიამ დიდი ეროვნული გმირის ღვაწლსა და ფენომენზე ისაუბრეს. ღონისძიებას ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მამუკა პაპასკირი დაესწრო.

ფოთის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა თბილისში, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას საფლავი გვირგვინით შეამკეს. ზვიად გამსახურდია 1939 წლის 31 მარტს დაიბადა. ის იყო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. მის სახელს უკავშირდება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. 1990 წლის 14 ნოემბერს გამართულ პირველ სესიაზე, ახლადარჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდია თავმჯდომარედ აირჩია. იმავე სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ქვეყანას „საქართველოს რესპუბლიკა" უწოდეს და აღადგინეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სახელმწიფო ატრიბუტიკა - დროშა, გერბი და ჰიმნი. მოგვიანებით, 1991 წლის 9 აპრილს, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილად გამოაცხადა. ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად 1991 წლის გაზაფხულზე აირჩიეს და 1992 წლის დასაწყისში ქვეყნიდან განდევნეს, სამხედრო გადატრიალების შედეგად. საქართველოს პირველი პრეზიდენტი 1993 წლის 31 დეკემბერს ხობის რაიონის სოფელ ხიბულაში დაიღუპა.

ისტორიის გააზრების გარეშე შეუძლებელია ქვეყნის წინსვლა-ეს უნდა გააკეთოს ახალგაზრდობამ თავისი მომავლისათვის.

ვიდრე არ შეფასდება 1990-1993 წლის მოვლენები, ქვეყანას სულ ექნება წინსვლის პრობლემები.

## ქალაქ ფოთის მერი, გოჩა კურდღელია:
## ფოთის მომავალი ახალი პორტების მშენებლობას უკავშირდება
### ორი ღრმაწყლიანი ნავსადგურის მშენებლობაზე 2000 კაცი დასაქმდება

დასაწყისი 1 გვ-ზე.

საფინანსო ინსტიტუტის მონაწილეობა ამ პროექტში და OPIC-ის მიერ გამოყოფილი 50 მილიონიანი დაფინანსება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ აშშ-სთვის საქართველო არის სანდო და მნიშვნელოვანი პარტნიორი. ამერიკასა და საქართველოს შორის ურთიერთობები ასეთ მაღალ დონეზე არასოდეს ყოფილა. ქვეყნისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ეკონომიკური განზომილება ხდება უფრო და უფრო მნიშვნელოვანი. OPIC-ს ძალიან დიდი ღვაწლი აქვს საქართველოს ეკონომიკაში. იგი იყო პირველი კომპანია, რომელმაც დაიწყო ინვესტიციების განხორციელება. მას საქართველოში ინვესტირებული აქვს 600 მილიონზე მეტი აშშ დოლარი, რომელიც 60-მდე პროექტის რეალიზაციას მოხმარდა. ასევე აქვს მნიშვნელოვანი გეგმები საქართველოში ინვეტიციების გან-



ხორციელებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ პარალელურად აიმპ ტერმნალმა შეიტანა განცხადება ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის. აშშ თანაინვესტირების ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე, რათა მიიღოს მსოფლიოში ყველაზე დიდი წალწყვის გემები, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლმას - დაახლოებით 2000 კაცზე.

მძლავრი საზღვაო ინფრასტრუქტურა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია, ჩვენი ქვეყნის ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბების საქმეში, რათა საქართველო გახდეს რეგიონულ ეკონომიკური ცენტრი და რეგიონული ჰაბი ლოგისტტიკასა და ტრანსპორტში.

## ნატო-საქართველო პარტნიორობის ახალი ეტაპები
## ნატოს გემები-შავი ზღვის ფოთის აკვატორიაში

მაიკო პიპიაძე...



საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთი (SNMG2) შემოვიდა, რომლის შემადგენლობაშიც შედის: „Flagship - HNLMS ვერტსენ" (ნიდერლანდების სამეფო), „თჩ ილდირიმ" (თურქეთის რესპუბლიკა), "BGS DRAZKI" (ბულგარეთი) და "დ შ ღეგელე ერდინანდ" (რუმინეთი). ნატოს მუდმივმოქმედ მეორე შენაერთს კომოდორი ბაუდევაინ ბუთსი ხელმძღვანელობს. ფოთის პორტში სტუმრებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია, ფოთის მერის მოადგილეები კონსტანტინე თოფურია და მამუკა პაპასკირი, საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი კაკულია, ზუგდიდის მერის პირველი მოადგილე გიორგი შენგელია, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი თემურ კეკელიძე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, პირველი რაგნის კაპიტანი თემურ კვანტალიანი, პოლონეთის ელჩი საქართველოში და ნატოს სამეკავშირეო ოფისის წარმომადგენლები დახვდნენ. სახელმწიფო რწმუნებულის განცხადებით, ნატოს მუდმივმოქმედი შენაერთის ვიზიტი საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესია, რაც კიდევ ერთხელ ხაზგასმაა ჩვენი ქვეყნის მისწრაფების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ალექსანდრე მოწერელიას განმარტებით, საქართველოს უსაფრთხოებისთვის ნატოში გაწევრიანება და ამ ორგანიზაციის პარტნიორობა აუცილებელია. ვიზიტის ფარგლებში, კომოდორი ბაუდევაინ ბუთსი სახელმწიფო რწმუნებულს და ფოთის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს მერიაში შეხვდა.

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღე კონსტიტუციით 9 აპრილია და არა 26 მაისი
## აქაც უნდა აღსდგეს სამართალი
## 9 აპრილი ცრემლისა და სიხარულის დღეა
## 9 აპრილი ფოთში
### 30 წელი 9 აპრილიდან, ეს იყო ერთიანობის აპოგეა



#მადლობათავისუფლებისთვის ქალაქ ფოთის მერმა გოჩა კურდღელიამ, საკრებულოს თავმჯდომარემ ირაკლი კაკულიამ, მერის მოადგილეებმა მამუკა პაპასკირმა და პაატა ლაგვილავამ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ აკაკი დარჯანიამ, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან, საჯარო სკოლების მოსწავლეებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს 9 აპრილს დაღუპულთა მემორიალი. „დღეს შევიკრიბეთ, რათა 30 წლის შემდეგ, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები, მოვიგონოთ დაღუპული გმირები. დღეს, ყველანი ერთად, მათ სულებს ვეუბნებით მადლობას,მადლობა თავისუფლებისთვის რომ არა 1989 წლის აპრილის გამოსვლები და აქციები, იქნებოდა კი დღეს ჩვენი ქვეყანა განვითარების იმ საფეხურზე რასაც ამ სამი ათეული წლის მანძილზე მივაღწიეთ, იქნებოდა კი საქართველო მსოფლიო თანამეგობრობისა წევრი და ევრო-ატლანტიკური სივრცის ქვეყნების პარტნიორი. ახლაგაზრდების სისხლი, ნიჩბებით აკუწული ჩვენი და-ძმანი, მოწამლული ასობით ადამიანი—ეს არის ფასი ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის. ქედს ვიხრით 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის წინაშე, ამ ფაქტის მნიშვნელობა კარგად უნდა გაიაზროს და გაითვისოს ახალმა და მომავალმა თაობებმა"-განაცხადა სიტყვით გამოსვლისას გოჩა კურდღელიამ. ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა მაცხოვრის აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში დაღუპულ გმირთა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა. 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ, ზვიად გამსახურდიამ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა. ამ ისტორიული



მოვლენის პატივისცემისა და ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილის აღსანიშნავად, ახალი საქართველოს უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზს საქარველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას სახელი მიენიჭა. 9აპრილის მონაწილის, მომღერალ ლელა ვეფხვაძის კონცერტი გაიმართა სახელოვნებო ცენტრის დარბაზში. ლელა ვეფხვაძის მიერ შესრულებულმა უკვდავმა სიმღერებმა მაყურებლის მძაფრი ემოციების გამოიწვია. №მადლობათავისუფლებისთვის

### ტურიზმი და ინფრასტრუქტურა
## სახელმწიფო რწმუნებული ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს შეხვდა



ქალაქში არსებულ ვითარებასა და სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს სამეგრელო- ზემო სვანეთის მხარისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბიზნეს სექტორთან შეხვედრაზე. სახელმწიფო რწმუნებულმა სამეგრელოს ზემო სვანეთის მხარეში ალექსანდრე მოწერელიამ ქალაქის ტურისტული პოტენციალის რეალიზებაზე, ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებასა და განაშენიანებაზე, ბიზნესისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნაზე ისაუბრა. ფოთში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა ქალაქის მერმა გოჩა კურდღელიამ, მან დამსწრეთ სამორინეების მოწყობის სანებართვო მოსაკრებლის წლიური განაკვეთების და შეღავათების დადგენის თაობაზე მთავრობის დადგენილება გააცნო, რომელიც ფოთის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესისთვის შეღავათებს ითვალისწინებს. შეხვედრაზე ფოთში ფეხბურთის განვითარებასა და საფეხბურთო კლუბ „კოლხეთი 1913" -ის მართვის საკითხებზე ისაუბრეს. *სახელმწიფო რწმუნებულმა ალექსანდრე მოწერელიამ სამოქალაქო სექტორის აქტიურ ჩართვასა და ამ მიზნით, ქალაქის განვითარების ფონდის შექმნის მნიშვნელობაზე ისაუბრა,* რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში მიიღებს მონაწილეობას. ინიციატივას დადებითად შეხვდა დარბაზში მყოფი საზოგადოება. ადგილზევე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც ფონდის დაფუძნების საკითხებზე იმუშავებს.

## მთავრობის განკარგულება მდინარე რიონის არხის რეაბილიტაციის შესახებ

„ქალაქ ფოთში გამავალი მდინარე რიონის მთავარი არხის რეაბილიტაციის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 618 განკარგულების საფუძველზე, შპს „საქართველოს მელიორაცია"-მ „ქალაქის არხის რეაბილიტაციის" პროექტის მომზადებაზე მუშაობა დაიწყო. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ კონსტანტინე თოფურიამ საპროექტო წინადადებები და ტექნიკური დავალებები შპს „საქართველოს მელიორაციის" პროექტების დაგეგმვის სამსახურის მთავარ ჰიდროტექნიკოსთან ალექსანდრე ლომიშვილთან ერ-



თად განიხილა. ხელისუფლება მდინარე რიონის ქალაქის მთავარი არხის კალაპოტის ნატანი გრუნტისგან, დალექილი უბნებისა და მცენარეებისაგან გაწმენდასა და რკინაბეტონის ჯებირების გამაგრების სამუშაოებს განახორციელებს.

# ვედრება: უფალო იესო, აარიდე საქართველოს მტრობა, ნგრევა, უსამართლობა, სიღარიბე

## ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი



## საქართველოს ღვთიური გზა

## გზა ჯვარცმისა და აღდგომისა

ქრისტიანობა და ქართველობა, ანუ ჩვენი ეროვნულობა იდენტურია, რამდენადაც მრავალტანჯული ერი მუდამ თავისუფლებისაკენ ისწრაფოდა, ღვთის სახელით ებრძოდა მტერს, რომელიც ცდილობდა ქართველისათვის რწმენა წაერთმია და ეს იგივე იყო ერისთვის სული გამოგეცლია. ქრისტე ჯვარს ეცვა ჩვენთვის და ჩვენც ვეწამეთ ქრისტესათვის, ეს იყო ქართველი კაცის ცხოვრების ფორმულა, სწორედ, ამან განაპირობა ღვთიური გზა, რომელიც ტანჯვა - წამებით, მაგრამ ზნეობრივი გმირობის მაგალითებით გავიარეთ, მხოლოდ ათი ათასი წამებულის შეუპოვრობა, თავგანწირვა რად ღირს, რომლის მსგავსი არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. ასეთი წინაპრები გყავდეს და ქვეყანა არ გიყვარდეს, მართლაც პარადოქსია, მიუტევებელია. მრავალი რჯულის სექტა ცდილობს წმინდა წყლის აღრევას და, სამწუხაროდ, წინა ხელისუფალნიც, (როგორც რეჟიმი) ცდილობდნენ ქრისტიანულ ციტადელის, როგორც ზნეობის უკანასკნელი ციტადელის მორღვევას, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია ამას არ დაუშვებს და აქედან გამომდინარე განსხვავებულია ამ პატარა ქვეყნის ქრისტიანული კუნძულის სულიერი მისია. ჯერ კიდევ როდის გაუძლო მაჰმადიანურ გარემოცვაში ცეცხლსა და მახვილს, ჯერ კიდევ როდის იცავდნენ ქართველები ქრისტეს საფლავს და აგებდნენ ეკლესია-მონასტრებს წმინდა მიწაზე. ღვთიურობის, სულიერების ძაფი უწყვეტია და ვერანაირი მტერი - შინაური თუ გარეული მას ვერ გაწყვეტს, ერს თავისი ისტორია იცავს-ქრისტიანული ისტორია, რომლის მსგავსი არა აქვს არცერთ ქვეყანას. არარაობას, სიკვდილს ღმერთით ებრძოდა ქართველი კაცი, რწმენისთვის ღირდა სიცოცხლე და იგია ერთადერთი გზა უკვდავებისაკენ, რამეთუ ,,ცოდვილთათვის გარდაცვალება არის სიკვდილი, განწმენდილთათვის უკვდავების დასაწყისია". აქ ერთი ლექსი მახსენდება ,,სიკვდილმა უთხრა სიცოცხლეს - მე გჯობივარ თუ შენაო, თუ კაცი ცოცხლობს რწმენისთვის, მაშინ გჯობივარ შენაო, თუ მხოლოდ თავის თავისთვის, რაღათქმა უნდა შენაო".

ღმერთი დედამიწაზე ჩამოვიდა, რათა ზეცად აეყვანა ადამიანი ,,მე ვდებ ჩემს სიცოცხლეს, რათა ხელახლა მივიღო იგი"-ამბობს უფალი. იესო ქრისტე მოკვდა როგორც ადამიანი და აღსდგა როგორც ღმერთი, ღმერთი ჩვენშია და ჩვენ ღმერთში ვართ, როგორც დიდი ვაჟა იტყოდა ,,ცოცხალნიც მისი ვართ და მკვდარიცა".

უფალი გვაფრთხილებს ,,მე ვარ სამოთხის კარი, მხოლოდ ჩემით შემოვლენ სასუფეველში. ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ეს უნდა ახსოვდეს. საქართველოს ისტორია ქრისტიანობისათვის ბრძოლის ხმლით შემოსაზღვრული ისტორიაა.

ღმერთმა ორი სამყარო შექმნა მიწიერი და ზეციური, მიწაზე სულიერების, ზეციერების მსახური ეკლესიაა, მადლობა ღმერთს ჩვენს დედა ეკლესიას სათავეში უდგას დიდი სულიერი მოძღვარი, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია მეორე აღმაშენებელი, რომელიც დიახაც რომ იმსახურებს აღმაშენებლის ტიტულს და ამის თაობაზე წმინდა სინოდის წინაშე საკითხი დააყენა ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიამ მისი პრეზიდენტის ბატონ ნუგზარ ნადარაიას ხელმძღვანელობით.

ქართველ კაცის ყოფაცხოვრება, კულტურა,ხელოვნება, ტრადიციები, ცხოვრების წესი ქრისტიანული მრწამსის უკვდავებასთანაა წილნაყარი. ქართველი ყველაფერს მარადიულს და საკაცობრიოს ესწრაფვის - ადამიანის უფლებების დაცვა, პიროვნული თავისუფლება, დღეს რომ ასე გაჰყვირიან, სწორედ რომ ამ ღვთიურ შთაგონებაშია ჩაკირული, ძმობა-თანასწორობა, ჰუმანიზმი აქ იღებს სათავეს. გაიხსენეთ ქრისტე - ,,ის მათხოვარი მე ვიყავიო", არადა, რამდენჯერ აგვივლია გვერდი გაჭირვებულისთვის, უნდა ვიყოთ სულიერად ამაღლებულნი, რათა პატივი მივაგოთ სხვის უფლებებს, სხვის ინტერესებს, რაც თანხვედრაში უნდა იყოს ერთიან მიზანთან-ერის კეთილდღეობასთან, მის მომავალთან, რომელიც წარსულის და აწმყოს გაგრძელებაა და ამაშია ცხოვრების არსი, მიზანიც და ამოცანაც. ღმერთმა ყველაზე დიდი რამ-სიყვარული დაანათლა ქართველებს, თუმცა, დრო არყევს ამ მთავარ ციტადელს, არავინ იცის სანამდე მივა უღმერთო მსოფლიოაპოკალიფსი თითქოს გარდაუალია. უღმერთობის-ომების და უბედურების ისტორია საკმარისი არ არის დასკვნებისთვის? ეკოლოგიური კატასტროფებიც ხომ გვაფრთხილებენ, მაგრამ ამაოდ, ამ გლობალურ სივრცეში ვინ დაიცავს პატარა ქრისტიანულ კუნძულს, რომელსაც საქართველო ჰქვია, არც შიგნით გვაკლია მოღალატეები და გამყიდველები,ვითომ პატრიოტები და ქვეყნის დამაქცევლები, გათითოკაცებულ ქვეყანას უფრო იოლად მოერევა მტერი.

უნებურად აღმოგხდება -ღმერთო ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი!

საქართველოს როგორც არასდროს დღეს სჭირდება ქრისტიანული რწმენა და სიყვარული. დაე, იყოს ღმერთი ჩვენთან, რათა გვიყვარდეს ერთმანეთი,რათა ვიყოთ კარგი ქართველები, კარგი მშობლები, მოქალაქეები, ვისთვისაც უმთავრესი ცნება და მოვალეობის არსი უფალი და სამშობლოა, რამეთუ ,,სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა"...

ქრისტე აღსდგა,! დაე,აღსდგეს ჩვენი ქრისტიანული ქვეყანაც,რამეთუ ასე იდენტურია უფალთან მისი გზით ჯვარცმისა და აღდგომისა.

გილოცავთ!

ჯ. აბრალავა

## რატომ ვეგებებით წითელი კვერცხით აღდგომის დღესასწაულს



სააღდგომო მილოცვასთან ერთად შემოღებულია წითლად შეღებილი კვერცხების ჩუქება, ეს ჩვეულება ქრისტიანობის დასაბამიდანვე არსებობს. იგი ყველგან დაცულია სადაც კი, მართლმადიდებელ ეკლესიას აღიარებენ. გადმოცემის მოწმობით, ეს ჩვეულება არსებობს მოციქულების დროიდან და დაწყებულია მოციქულთ სწორის მარიამ მაგდალენისაგან, რომელმაც პირველმა იხილა აღმდგარი იესო, ისიც სხვა მოწაფეთა მსგავსად და ყველას ახარებდა ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას-ახლაც საქადაგებლად რომში ჩავიდა და აღდგომას წარსდგა რომის იმპერატორ ტიბერის წინაშე. მარიამ ძალიან ცნობილი პიროვნება გახლდათ და ამიტომ დაუბრკოლებლად გაატარეს იმპერატორთან. მას აღარაფერი გააჩნდა, იმპერატორისათვის საჩუქრად იესო ქრისტეს რწმენის მეტი. ამიტომ მასთან შეხვედრისას კვერცხი გაუწოდა იმპერატორს სიტყვებით - აღსდგა ქრისტე! იმპერატორმა ეჭვით შეხედა, როგორ შეეძლო მკვდარს აღმდგარიყო?! ეს ისევე დაუჯერებელია, როგორც, ის, რომ ახლა ეს კვერცხი გაწითლდესო, მაგრამ სიტყვები არ დაემთავრებინა, რომ კვერცხმა გაწითლება იწყო. ამ დღიდან მოყოლებული კვერცხებით ეგებებიან აღდგომის დღესასწაულს ეკლესიაში სააღდგომო წირვის შემდეგ იკითხება კვერცხის ლოცვა კვერცხის ჩუქების დროს ვამბობთ: ,,ქრისტე აღსდგდა"! პირველყოვლისა სააღდგომო კვერცხი უნდა ყოველ ჩვენგანს გვაგონებდეს ქრისტეს აღდგომას და აგრეთვე, მომავალ ჩვენს აღდგომას, რადგან როგორც კვერცხიდან, მისი ნაჭუჭიდან იბადება სიცოცხლე, რომელიც სრულიად იყო მაშინ დამალული, ასევე კუბოდან სიკვდილის და გახრწნის საცხოვნებლიდან აღსდგა ცხოველმყოფელი და ოდესმე აღდგებიან მკვდარნიც,ასე რომ, როდესაც ჩვენ ვჩუქნით ერთმანეთს წითლად შეღებილ კვერცხს, ამით ჩვენ გამოვხატავთ რწმენას ქრისტეს არდგომაში და მომავალს საერთო აღდგომაში. მეორეც ის, რომ კვერცხი ძლიერ მგრძნობიერი გამომხატველია ჩვენი სულიერი წარმოშობისა, როდესაც კვერცხიდან სითბოს საშუალებით იჩეკება ცოცხალი არსება, აგრეთვე ჩვენს ბუნებას ,,მკვდარს შეცოდებათაგან" ქრისტეს ცხოველმყოფელობით თავისი მადლით. მესამეც, შესამჩნევია სააღდგომო კვერცხის ფერი, თავისი წითელი ფერით, იგი გვაგონებს ჩვენს ჯვარზე დანთხეულ სისხლს, უბიწო ზვარაკს ქრისტესაგან, რომლითაც გადარეცხა მან ჩვენი შეცოდებანი და გვიხსნა საუკუნო სიკვდილისაგან.

## ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად!

*ქრისტე აღსდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი.*

*-დღეს ანგელოზნი ცათა შინა იხარებდნენ და კაცნი ანგელოზთა თანა დღესასწაულობენ.*

*განათლდი, განათლდი, ახალო იერუსალიმ, დღეს დიდება უფლისა შენზედა გამობრწყინდა, განჰცხრებოდე ღვთისმშობელო აღდგომასა ძისა შენისა და იხარებოდა სიონ, და ან შენცა იშვებდი.*

როდესაც იუდეველებმა უმოწყალოდ, ჯვარს აცვეს ქრისტე, მეორე დღეს, რომელიც მოსდევს პარასკევს შეიკრიბენ მღვდელმთავარნი და ფარისეველნი პილატეს კარზე და თქვეს: ბატონო, გაგვახსენდა,რომ ამ მაცდურმა სიცოცხლეში თქვა, სამი დღის შემდეგ აღვსდგებიო, მაშ ბრძანე მესამე დღემდე უდარაჯონ სამარხს, რათა მისი მოწაფეები არ მივიდნენ ღამით, არ მოიპარონ იგი და უთხრან ხალხს: მკვდრეთით აღდგაო და უკანასკნელი სიცრუე პირველზე უარესი იქნება. უთხრა მათ პილატემ: დარაჯნი თქვენ გყავთ, წადით და უდარაჯეთ,როგორც იცით. ისინიც წავიდნენ, სამარხის დასაცავად დაბეჭდეს ლოდი და დარაჯი დაუყენეს, ხოლო შაბათს დამლევს, კვირის პირველი დღის განთიადისას მოვიდა მარიამ მაგდალინელი და მეორე მარიამიც სამარხის სანახავად და აჰა, საშინლად იძრა მიწა, ვინაიდან უფლის ანგელოზი ჩამოეშვა ზეცად, მივიდა და გადააგორა სამარხის კარიდან ლოდი და ზედ ჩამოჯდა, სახე მისი იყო როგორც ელვა, სამოსი მისი სპეტაკი, როგორც თოვლი. მისი შიშით შეძრწუნდნენ საფლავის მცველნი და მკვდრებს დაემგვანენ. მიმართა ანგელოზმა ქალებს და უთხრა მათ: ნუ გეშინიათ, ვიცი, რომ, ჯვრაცმულ იესოს ეძებთ, აქ აღარ არის, არამედ აღსდგა, როგორც თქვა, მიდით და იხილეთ ის ადგილი, სადაც ესვენა უფალი, სასწრაფოდ წადით და უთხარით მის მოწაფეებს, რომ მკვდრეთით აღსდგა და წინ მიგიძღვით გალილეისაკენ და იქ იხილავთ მას, აჰა, გითხარით თქვენ, ხოლო ისინი მსწრაფლ გამოვიდნენ სამარხიდან და შიშითა და სიხარულით მირბოდნენ, რათა ეუწყებინათ მისი მოწაფეებისთვის და მოწაფეების საუწყებლად მიმავალთ აჰა, შემოხვდათ იესო და უთხრა მათ:

გიხაროდენ! ხოლო ისინი მივიდნენ, მუხლებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას. (მათ. 27.28)

არჩევნებიდან-არჩევნებამდე

# იმედიც რომ არ მოკვდეს, ანუ უკანასკნელი მოლოდინი და ბოლო შანსი კრიზისის დასაძლევად



30 წელია ქვეყანა მოლოდინებით ცხოვრობს, არჩევნებიდან-არჩევნებამდე, ხელისუფლებიდან-ხელისუფლებამდე. ხელისუფალნი იცვლებიან, მდიდრდებიან, ხოლო ხალხის მდგომარეობა უცვლელი რჩება-სიღატაკე, სიღარიბე და უიმედობა.

თუ ვინ არის ხალხის მტერი და სანამ გაგრძელდება შინა ომი, ძნელი სათქმელია - ქვეყანა 2 სოციალურ მტრულ ბანაკად არის გაყოფილი-მდიდრები და ღარიბები. სოციალური მდგომარეობა ანუ ყოფა განსაზღვრავს მის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ადამიანები ქვეყანას ტოვებენ სიღარიბისა და შიმშილის და არა პოლიტიკური შეხედულებების გამო. თავისუფლება მონობაში და მონობა თავისუფლებაში - დღესაც ეს პოსტულატი მოქმედებს და თუ კაცს ქვეყანაში არ დაედგომება რა თავში ვიხლით ქვეყნის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ქვეყნის ქონება გადანაწილებულია, იგი ერთი ნაწილის უშრომელი გამდიდრებისა და მეორის ჩაგვრის საშუალებად იქცა. 21 საუკუნის ქართველები ერთმანეთს არ ინდობენ და ლამისაა პოლიტიკურ კინკლაობას გადააყოლონ ქვეყანა. არადა, საკმარისად გვაქვს გაკვეთილები ყველა სფეროში - სამოქალაქო ომი, განდევნილი პრეზიდენტი, გაუაზრებელი ომი რუსეთთან, 9 წლიანი რეჟიმი. ყოველივე ევროპულის უპირობოდ გადმოტანა, გარდა ეკონომიკური წინსვლისა და აღმავლობისა, დასაქმებისა და ცხოვრების ნორმალური პირობებისა. ჩვენ არც სოციალიზმი გამოგვივიდა და არც კაპიტალიზმი. არადა, მსოფლიოში ორივე სისტემა გარკვეულ წარმატებებს აღწევს. ხალხი ძირეულ ცვლილებებს ელოდება. სამწუხაროდ, სასამართლო რეფორმის პროცესებმა სხვა რამ გამოავლინა, რატომღაც დაავიწყდათ, რომ გირგვლიანის მკვლელობამ ერი ფეხზე დააყენა და ხელისუფლება გადაიყოლა, დღეს კი ამ საქმის მოსამართლის, მურუსიძის გამართლების გამო მოვლენები ისევ იძაბება. ხალხი შიმშილის გამო არასდროს გამოსულა ქუჩაში, მაგრამ უსამართლობასა და დამცირებას არავის აპატიებს. ბედნიერია თუ არა ხალხი, ხალხს უნდა კითხოთ და არა ახალ გამოჩეკილ მეოცნებეებს. ლამის საფრანგეთზე უკეთესი ბედნიერების ინდექსი გვქონია. ხალხი არის ხელისუფლების წყარო, მაგრამ ის მხოლოდ ხელისუფლების ბედნიერების წყარო არ უნდა იყოს, ხალხის აბუჩად აგდებას ყოველთვის მოჰყვება უმართავი პროცესები. ყოველივე კი მაინც ერთ კაცთან იყრის თავს-ბიძინა ივანიშვილთან, რომელსაც არ გამოადგა შერჩეული კადრები და მტრებიც არ აკლია. ნათქვამია - თუ მტერი გამოგეკიდა, ხალხს მიეცი თავი, ხოლო თუ ხალცხიც გამოგეკიდა-მდინარეს. ისე სჯობს ბატონო ბიძინა ხალხთან მისასვლელი გზა დაიტოვოთ. სააკაშვილის და ,,ნაციონალების" გაძლიერება ,,ოცნების" სისუსტის შედეგია.

სააკაშვილის უკანასკნელი განცხადებები კოლონიურ ევროპაზე ვნებს ქვეყნის ავტორიტეტს, ამ დროს სულ პირზე ეკერათ დასავლური ორიენტაცია. ხელისუფალთა განცხადებები უსაფრთხო ქვეყნის თავისუფლებაზე, ასევე აზიანებს ევროპაში გადახვეწილ ქართველობას, რომელთაც ბოშათა ქალაქები მოაწყვეს მომპელიეზე და შველას ითხოვენ უსამშობლოდ დარჩენილები. რაც შეეხება ევროპელობას, საქართველო, კავკასია ევროპელთა წინაპრად მიიჩნევა და არც კულტურით და ცივილიზაციით არასდროს არ ჩამორჩებოდა. აკი ორ სიტყვაში გამოხატა ეს ზურაბ ჟვანიამ, რომელსაც ევროპის ცენტრში ვარსკვლავი გაუხსნეს. ასეა, ადამიანებს ჯერ გავიმეტებთ და მერე ვაღმერთებთ.

საქართველო მესამე ძალის მოლოდინშია, ოპოზიციის მეთოდოლოგიას კარგად იცნობს ხალხი. მრავალათასიანი მიტინგებით ხელისუფლებას აშინებენ და პარლამენტში ადგილებს მოიპოვებენ, სანამდე იქნება ხალხის გაჭირვება პარტიული აღტკინების საზრდო? ამასვე იყენებენ დემოკრატიულ ნიღაბს ამოფარებული პარტიული ტელევიზიები. რეალობა მართლაც მძიმეა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია ეს აწუხებდეთ ამ ადამინებს, ვინც დღესაც სააკაშვილის პროპაგანდას ეწევა. რას მივაწეროთ თუნდაც ის რომ, ტელევიზიის გენერალური დირექტორი გადაცემას დედის გინებით იწყებს, რაც ყველაზე ძვირფასია ქართველი კაცისთვის. ვინ იცის რა სიურპრიზები გველის გვარამიასაგან. სამწუხაროდ, მოპასუხე არავინაა და ეს 7-8 წლიანი ეპოპეაც ცუდი დასასრულისკენ მიდის, თუ დროზე არ გაკეთდა დასკვნები, არ გატარდა საკადრო ცვლილებები, არ შეწყდა უაზრო კინკლაობა, რამეთუ ქვეყანა თანდათან შაგრენის ტყავივით თვალდახელშუა დაგვიპატარავდა.

ასე გამოდის თითქოს ხალხის მოთმინების ექსპერიმენტი ტარდება ქვეყანაში. ამ მოთმინების ხარჯზე ვიღაც კომფორტულად გრძნობს თავს. ერთი ჯგუფი კაპიტალისტური წყობის ყველა სიკეთით სარგებლობს, ხოლო ხალხის დიდი ნაწილი ამ წყობის მხოლოდ-უბედურებით, ქართველი კაცი სამშობლოს სამუდამოდ არასდროს დატოვებს, არც წინაპართა საფლავებს შეელევა, ეს ის მარადიული ფენომენია, რითაც იწყება ეროვნულობისა და სამშობლოს განცდა.

ყველა უბედურების სათავე, ისაა რომ დავკარგეთ ღმერთი, დავკარგეთ რწმენა, ომი კი ისევ გრძელდება. შინა ომი სიკეთესა და ბოროტებას შორის. სწორედ უღმერთობის შედეგია, ის რომ ძმა ძმას კლავს, მამა-შვილს, მეზობელი მეზობელს. შიათ პატარებს, შიათ დედებს და ასე იკარგება ჩვენი გენოფონდი.

,,მე მიყვარდა ეს ქვეყანა, მას არასდროს არ ვუყვარდი"-რატომღაც გამახსენდა ეს ფრაზები და ის რომ კაზინო-სამორინეებით ქვეყანა არ შენდება. ეს არ არის ფარნავაზის და ქუჯის დანაბარები, ეს არ არის აღმაშენებლის, ცოტნე დადიანის და სააკაძის ანდერძი. ნუთუ არ გესმით, ყოველ ცისმარე ერეკლეს ქვითინი აღვიძებს თბილისს. ლამისაა თურქები ისევ შემოვიდნენ, რუსები ხომ სანახევროდ შემოსულნი არიან. ის დროა ქართველებმა გამოვიფხიზლოთ, დავძლიოთ შური და მტრობა, გვიყვარდეს ერთმანეთი. ამ პატარა ქვეყანას ყველა პირობა აქვს გადარჩენისათვის და უპირველესად ეს არის მისი გეოსტრატეგიული მდებარეობა.

ვიტოვებთ იმედს საქართველოში მართლაც აყვავდება ეკონომიკა, სულიერად გაბრწყინდება ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და ბევრი გვეყოლება მდიდრები, რაზედაც ასე ოცნებობდა დიდი ვაჟა -ფშაველა- ღმერთო, ქართველებს შეაყვარე ერთმანეთი.

ზ. აბრალავა

სამადლობელი

## ქალაქ ფოთის მერის მოადგილემ კულტურის, სპორტისა და სოციალურ საკითხებში გიორგი ფარეშიშვილმა თანამდებობა დატოვა, იგი თავის საქმიანობას დედაქალაქში გააგრძელებს.



გიორგი ფარეშიშვილი უდიდესი პასუხისმგებლობითა და ახალგაზრდული შემართებით, ჩვენთან ერთად იღწვოდა ქალაქისათვის ბევრი საჭირბოროტო საკითხის გადასაწყვეტად. მისი ძალისხმევით არაერთი საინტერესო ინიციატივა და პროექტი განხორციელდა. მათ შორის არის ნიკო ნიკოლაძის ჯილდოს დაწესება და მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზისთვის მისი სახელის მინიჭება, რითაც კიდევ ერთხელ მოგვეცა საშუალება უკვდავგვეყო ამაგდარი წინაპრის სახელი.

გიორგი ფარეშიშვილის აქტიური ძალისხმევით ფოთი ევროკავშირის საგრანტო პროგრამის გამარჯვებული გახდა, რის შედეგადაც ქალაქს 1 200 000 ლარი თვითმართველობის მუშაობის გაუმჯობესებისა და საჯაროობის უზრუნველსაყოფად გამოეყოფა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის გუნდი მადლობას უხდის ბატონ გიორგის გაწეული მუშაობისთვის. უსურვებს შემდგომ წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. ბატონი გიორგი მუდამ იქნება ფოთისა და ფოთელთა მხარდამჭერი ყველა ღირსეულ საქმეში.

სამადლობელი

## ლაზიკამედის ექიმებს - გოჩა თვარსძეს, კესო გელენიძეს, მედდას-თეონა ტიბუას




ლაზიკამედის წარმატებულ საქმიანობაზე ბევრი რამ მსმენოდა-რომ აქ მოღვაწეობენ კვალიფიციური ექიმები, კლინიკა აღჭურვილია ახალი აპარატურით, ყურადღებას იპყრობს ახალი კაბინეტები, ლაბორატორიები.

რომ იტყვიან, ზამთარმა ბოლოს მაინც მოიქნია კუდი, შვილიშვილი გახდა ავად, ჩვენც ლაზიკამედს მივაშურეთ. ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა-იდეალური სისუფთავე, მშვენიერი დიზაინი-ექსტერიერი, ინტერიერი, მაგრამ მთავარი იქაური მედპერსონალის ყურადღებაა ადამიანებისადმი, დიდ მადლობას ვუხდი მორიგე ექიმს გოჩა ცხვარაძეს და მეედა თეონა ტიბუას.

ქართველები იშვიათად ვიცლით საკუთარი თავისთვის. და რადგან ასე მომეწონა აქაურობა და რადგანაც კუჭიც მაწუხებდა ჩემი გასაჭირიც გავანდე მათ. ექიმმა კესო გელენიძემ მიმკურნალა და თავს მშვენივრად ვგრძნობ, რისთვისაც მინდა დიდი წარმატებები ვუსურვო მას, და მთლიანად ამ დიდი პოლიკლინიკის მედპერსონალს ამ მეტად დიდ და მნიშვნელოვან საქმეში.

პატივისცემით მადლიერი პაციენტი შოთა კილაძე.

საკადრო ცვლილებები მერიაში

## ახალგაზრდები ქალაქის მატერიალური და სულიერი აღორძინების სათავეებთან

## ფოთის მერის მოადგილედ პაატა ლაგვილავა დაინიშნა

მიეცით ნიჭსა გზა ფართო და არა... (პარტიელობას)...



პაატა ლაგვილავა კულტურის, სპორტისა და სოციალურ მიმართულებას გაუწევს კურირებას.

პაატა ლაგვილავა დაიბადა 30.06.1981. ქალაქ ფოთში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

1998 - 2004 წწ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იურიდიული ფაკულტეტი, მაგისტრის ხარისხი ;

ტრენინგები და კურსები:

2001-2004 წწ. - ქალაქ თბილისის პროკურატურა,საერთაშორისო და განსაკუთრებით საიდუმლო საქმეთა განყოფილება, პრაქტიკანტი ;

2007 წ.- ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა, საჯარო მოხელეთა საკვალიფიკაციო კურსები;

2010 წ. - ევროკავშირისა და ფედერაცია "შავე თჰე ჩჰილდრენ" ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზაციული მენეჯმენტის საფუძვლები; პროექტის ციკლის მართვა; პროექტის განაცხადის წერა და ფანდრაიზინგი; ადამიანის უფლებების დაცვა; ბიზნეს კომუნიკაცია; ადვოკატირება.

2010 წ.- ფედერაცია "შავე თჰე ჩჰილდრენ" და საქართველოს სტრატეგიული კვლევისა და განვითარების ცენტრი, ეფექტური ორგანიზაცია, სტრატეგიული დაგეგმვა;

2011 წ.- საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია, სოციალური ბიზნესის დაგეგმვა, მართვა და განვითარება;

სამუშაო გამოცდილება:

2005 - 2006 წწ. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

2011 – 2013 წწ. ჩ Iჩ „სამოქალაქო განვითარებისა და ინტეგრაციის ცენტრი", გამგეობის წევრი;

2013 – 2015 წწ . საჯარო სამსახურის პროფკავშრები, თავმჯდომარე;

2006 – 2015 წწ . ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი;

2019 წ. 05 აპრილიდან ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ფლობს ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებს

„ამ ეტაპისთვის მქონდა შეხვედრები ადმინისტრაციის სამსახურთან, სადაც გავიარეთ მიმდინარე თემები. ოთხშაბათიდან ვაპირებთ ყველა იმ სამსახურში გასვლას, რომელიც ჩემს კონკრეტულ საკურატორო სფეროს ეხება. ადგილზე გავეცნობით მიმდინარე პროექტებს, იდეებს, მოსაზრებებს, თუ რა არის განსახორციელებელი, რა არის დაგეგმილი. ეტაპობრივად გავეცნობით ყველაფერს და უკვე სამომავლოდ დავსახავთ გეგმებს, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ,რათა უფრო კარგად წარმოჩინდეს ადგილობრივი ხელისუფლება, ქალაქის მერია. როდესაც ყველაფრის საბოლოო ანალიზს გავაკეთებთ, წლის ბოლოსთვის, ახალი ბიუჯეტის დაგეგმარებისას გვეცოდინება პრიორიტეტები", – განაცხადა პაატა ლაგვილავამ.

*წარმატებებს ვუსურვებთ პაატა ლაგვილავს მშობლიური ქლაქის სამსახურში.*

# ოთარ შალამბერიძე-მივიწყებული დიდი პოეტი

ორი ეპოქის გადასახედი

## რა დიდი გზიდან მოდის, თუმც, ვერ მოაღწია ჩვენამდე

ღირს სათანადოდ დავაფასოთ მისი შემოქმედება-როგორც დიდი ლიტერატურული საგანძური



პოეზია ცხოვრების ნაწილია, მისი ანარეკლია ლამაზ ფერებში, ასოციაციებში. ლექსები მეტყველებენ იმაზე, თუ რამდენად რთული და წინააღმდეგობრივი ცხოვრება ჰქონდა მის ავტორს, ბატონ ოთარ შალამბერიძეს. პატარა დროში, მართლაც დიდი პოეტური გზაა განვლილი-რწმენა, ჰუმანიზმი, სამართლიანობა, სამშობლოს სიყვარული, მაღალი ღირებულებები, პოეტური ფორმითა და შინაარსით ადეკვატურობა, ნოვატორობა, თავისუფალი, ლაღი აზროვნება-ალიტერაციებით, მეტაფორებით, შედარებებით, ასოციაციებით, პოეტის ლექსები შეტანილი იყო სასკოლო სახელმძღვანელოებში.

პიროვნულად თავისუფალი, მიუმხრობელი პოეტი იმდენად თამამი, კრიტიკული და უდრეკი სულისაა, აშკარად უსწრებს თავისი ეპოქის სულისკვეთებას და დღევანდელობას ეხმიანება, თითქოს დღესაც იგივე პრობლემებია. ხელოვანის თავისუფლება, თანასწორობა, დამოუკიდებლობა. ფილოსოფიური ჭვრეტა საზოგადოებრივ-პოლიტიკური, თუ ბუნებრივი მოვლენების. სრულიად ახლებურად დანახული სამყარო, სხარტი აზროვნება, რომელიც არ წყდება მიწიერ ფესვებს, თუმცა, ყოველთვის თავისუფლებისაკენ, ზეციერებისაკენ ისწრაფვის. 2010 წელს ოთარ შალამბერიძე გალაქტიონის პრემიით დააჯილდოვეს.

ამ პატარა საგაზეთო წერილს არააქვს, ამ მართლაც დიდი პოეტის შემოქმედების შეფასების პრეტენზია, ეს კრიტიკოსებმა უნდა გააკეთონ. წლებია ამას ელის სიბრძნით, სიყვარულით გაჯერებული პოეზია საქართველოს ღირსეული მამულიშვილისა. ასევე ღირსეული ადგილი უნდა მიაკუთვნონ მის სამუდამო განსასვენებელს. სამწუხაროდ, არცერთი უწყება ამით არ დაინტერესებულა, მათ შორის შემოქმედებითი კავშირებიდან.

აღსანიშნავია, რომ კარგა ხანია მზად არის ახალი წიგნი, რომელშიც შევიდა გამოუქვეყნებელი ლექსები და ჩანაწერები. იმედია, გამოჩნდებიან მეცენატები, და მკითხველი მიიღებს დიდ პოეტურ ქმნილებათა კრებულს, რომელიც ასე ეხმიანება ამ წინააღმდეგობრივ ეპოქას, გვამხნევებს და სიამოვნებას გვანიჭებს.

სამწუხაროდ, იგი ვერ მოესწრო 80 წლის იუბილეს. 1932 წელს დაიბადა ძვ. სენაკში, ინტელიგენტების ოჯახში.

იმედია, კულტურის სამინისტრო, შემოქმედებითი კავშირები ხელახლა გადაავლებენ თვალს ამ დიდი პოეტის შემოქმედებას და სათანადო პატივს მიაგებენ მის ხსოვნას, შემოქმედებას, რომელიც მომავალ თაობას ეკუთვნის.

ზ. აბრალავა.

******

### მინაწერი შამილის სურათზე
(იბეჭდება პირველად)

იმ ორბელიანს მე არ ვიცნობ,
შენ რომ გებრძოდა,
უნდა შევუნდოთ ბევრ მეზობელს
ეგ ურჩეობა,
რადგან ეღვიძა მასში იმ დროს
,,მეფის ღენერალს"
და, რათქმა უნდა, ქართულ ხმაზე
ვერ იმღერებდა...
ხოლო თხზულება მისეული უყვარს
ქართველ ერს,
მას ამ ღვთიურ ნიჭს თვით
ღმერთებიც ვერ წაართმევენ!..

******

### წიგნიდან:
### ,,ლირიკული აპრილი""-1957
### მიმართვა ხეებს

ხეებო, ვისმენ თქვენს ნეცარ შრიალს,
რა უნაზესი ბრბოლვით ამავსეთ!
იქნება თქვენს ხმებს ცირილი ჰქვია?!
არ უფიქრია არვის ამაზე!
ყურს ვუგდებ მე თქვენს იდუმალ ხმათა,
ნუგეშად მიჩანს ყოველი ბგერა!
და ვერ მივმხვდარვარ, აქამდის მართლაც
რად უწოდებენ შრიალს-სიმღერას!
რაცბომ არ სჯერათ, რომ შეშფოთებით
შეჰყურებთ ცას და ვალალებთ მარად?!
ხეებო, იქნებ მწვანე ფოთლებით
საუკუნეთა ბევრ ცოდვებს ფარავთ!
სადღაც თქვენს შორის მარხია იქნებ
ჩემი საავკნე ფიცრის გამთლელი.
სადღაც თქვენს შორის ნაღვლიან ფიქრებს
წვავენ მბჟუცავი ციცინათლები!
რადგან არ ვიცი, რომელ თქვენთაგანს
სხეპდა მარჯვენა პაპაჩემისა;
გული თუ ნაღველს ამოედაგა,
იმედი იყო გადარჩენისა!
ბვირფასნო ჩემნო, თქვენს შორის ასე
მე ვდგავარ... ვდგავარ სულით მკვნესარი,
ო, როგორ მინდა, თქვენს ჩურჩულს ჩავწვდე
და იდუმალი ვიყო თქვენსავით!
თქვენ, თრთით ხეებო, გზაჯვარედინზე
ჯვარცმულებივით რომ დარაზმულხართ!
ვერ ვპოულობ და მიცომაც ვწუხვარ!
ხეებო, თქვენებრ მეც მიდგას სული
და სასუფევლის ენით ვღაღადებ!
კაცი ილევა მიწაზე ზრუნვით,
მაინც მიწაა კაცის სიხაცე!

ხეებო თქვენებრ ვთრთი და ვკანკალებ,
ეს წავა, ეს თრთოლვა მზემ დამიბედა!
ჩემი ცხოვრების წყარო ანკარა
თქვენს ფესვებში დის თქვენდა იმედად!
და ვისმენ! ვისმენ თქვენს გრძნეულ შრიალს
და ჰგავს სიჩუმე უთქმელ საყვედურს...
შვებად რად თვლიან ცრფობით სავსე გულს,
ხეებო, დღემდე ვერ ამიხსნია!..

******

### ლექსი ლექსის გამო

უნდა ვიდგე ახლა სადმე, სერზე
ვაჩაღებდე საგანგაშო ჰოცონს
რა ჯანდაბა მაწერინებს ლექსებს
ის ხომ არა ზოგ-ზოგებს, რომ მოსწონს
მოგვსევია ირგვლივ მცრული ხროვა,
და გვისხლეცება ფეხი სისხლის ლექსზე.
სამშობლოში გრძელი ღამე როა.
რა ჯანდაბა მაწერინებს ლექსებს.
მაგრამ არა! ჩვენს სიმრიცვეს დახეთ.
ლამის არის საზოგადოდ შევრცხვი,
ლექსს ვერც კლავენ, ვერ უგებენ მახეს,
ამიცომც საჭიროა ლექსი.

******

### წვიმის შემდეგ...

ცამ გადაიბრო
თავსახვევი თეთრი ღრუბლების,
ზედ დაიღვარა ოქროს სიცილად;
სადღაც-
ფუცკარი ვარდს ეხუმრება,
სადღაც-
პაცარა ჩიცმა იწივლა.
ქარი ნედლ სურნელს დაუმრკოლებლივ
მოათამაშებს ჭიუხებიდან,
შრიალებს მუხა,
მუხის რკოები აუნთებელი ჩიბუხებია.
ცყეს მაქოსავით ჩაეხვია შუქი ულევი.
ბებერ თელასთან შეჭიდებას კოლდალა ბედავს;
ცყის ბილიკებზე ხითხითებენ ნაკადულები,
თითქოს შინიდან გამოექცნენ ბავშვები დედას!

******

### ხსოვნა და სიყვარული

რაც უფრო ხშირად
მოგზაურობ ყრმობის მხარეში,
მით უფრო ცხადად
სიმერისას ხვდები კირთებას...
მაინც არ არის სიყვარული
ხსოვნის გარეშე,
მაგრამ ხსოვნასაც სიყვარულის
ფრთები სჭირდება!...

******

### ლექიანობის, ანუ
### წალეკილის გამო

ბუნწად მიყვება მემაცვიანე:
,,ჩუმად, ქურდული,
წალიკ-წალიკად
მოადგა საზღვარს ლეკი ცვალი
და ყველაფერი უცამედ წალეკა...
თითქოს მიბიძგა აქ სიცყვის ჯადომ,
რომ ერთ სახელში სხვა ხიბლი ჩადო;
ჭირიცო, ზოგჯერ სიკეთეს ცოვებს,
ასე დამმობღვრეს ქართლის მინდვრებმა:
არ ყოფილიყო ლეკიანობა,
,,წალეკილს ვინღა დაგვიმკვიდრებდა?!

სიყვარულს თავისი დამწერლობა აქვს
მხოლოდ გულის თვალებით წასაკითხი.

******

ვიცი ბუნება არ დამამადლის,
გავიხანგრძლივო დღე ვარდფურცლობის,
მიწა ერთია ყველგან მარადის,
მიწაზე მხოლოდ ჩვენ ვართ უცხონი.

******

არაფერი ისე ადვილი არ არის საქართველოში, როგორც პოეტად გახდომა. მაგრამ არაფერი ისე ძნელი არ არის საქართველოში, ვიდრე პოეტად დარჩენა.

******

კაცს, რომელიც ოცნებაში თავის მომავალ ბედნიერებას უღიმის, იდიოცური იერი აქვს. ასე იცის ბედნიერებამ – შორიდანვე ალენჩებს გულუბრყვილო მსხვერპლს.

******

ეს ქვეყანა სარკე არი,
არ გჭირდება მისამართი.
მოდი, ვისი ჯერიც დადგა,
ჩაიხედე შიგ და... წადი!

******

ღმერთო! მწუხარებამაც როგორი ლამაზი იციან საქართველოში. ერთი წუთით წარმოვიდგინე ქვეყნიერება ამ მწუხარების გარეშე და... გავშეშდი. მთელი სამყარო უღარიბესი მომეჩვენა.

---



ჭავა ასატანია

ისე მინდა გავიპარო, რომ არავინ შე□წუხდეს!
არ იფიქროთ მეჩქარება, ასი უნდა შესრულდეს.
ასი დიდი ბედოვლათი რაღა მოსაცანია!
წასვლა მაინც არ აგცდება ძნელი ასაცანია!?

# ნაპო თოდუა
# ცნობილი მეფუტკრე და სახალხო მთქმელი

## ცვითება მარაგი

წლები გადის, იცვითება ჯან-გონების მარაგი,
ამ საქმეში არას გარგებს გაწეული ამაგი.
ისიც დიდი პაცივია წლებით თუ ხარ ჭარმაგი.
წასვლას ვერ აიცილებ, ზღაპარია გამაგრდი!?

## დიდგულობა

როცა გულით ალალი ხარ და ძლიერი ჯიბეზე!
ადვილია მყარად იდგე ამ ცხოვრების კიბეზე.
კარგია და რა ჯობია, ჯიბე ზურგს თუ გიმაგრებს,
მაგრამ გული მთავარია დიდგულობა იმარჯვებს!?

## მისია

ყველას მისი მისია აქვს და ასრულებს მისებურად
შენ მიხედე შენს მისიას არ მიუშვა თვითნებურად,
მართე შენი სამართავი, მხოლოდ მხოლოდ შენებურად,
იცრამახე არვის ვმაძავ და გამომდის ჩემებურად.

## გადაწყვეტა

შენ რა უნდა გადაწყვიცო,
გადამწყვეცი არის მზისა,
შენ უბრალოდ ეთანხმები,
სხვა გზა არ გაქვს არაფრისა.

# I ფუთი
# კოლხური ცივილიზაციის განათლების ცენტრი
## ,,ჯერ კიდევ როდის, ჯერ კიდევ როდის ფოთობდა ფოთი, ჯერ კიდევ როდის გვიხდიდნენ ბოდიშს"...



მსოფლიო ისტორიის წყაროებში, დღემდე არ მოიპოვება კოლხეთის სახემწიფოებრიობის ჩამოყალიბებისა და მისი აღზევების ზუსტი ცნობები. თუმც მისი დიდებული წარსულის შესახებ აიეტამდეც, (დიდი ხნით ადრე) ცნობილი იყო, რასაც მოწმობს, თავად კოლხეთის მეფის აიეტის სიტყვები: ,,ჩვენი მამაპაპათა ზეობის ხანაში".

ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის ცნობილი გერმანელი მწერალი კარლ ჰანრის ფონ გაისპერგი თავის წიგნში: ,,ჩემი მოგზაურობა კავკასიაში", სადაც აღნიშნავს: ,,ესაა დასაბამიდან ,,ოქროს საწმისის" მდიდარი ქვეყანა კოლხეთი. ფაზისს (რიონი) მოჰქონდა ოქრო. აქ იცოდნენ ოქროს მოპოვების ხელოვნება და ასევე სხვა ხელოვნებაც, რომლის ძირები ლამის ადამის ჟამსაა საძიებელი.

გაისპერგი, სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ კოლხების ძირი ლამის ადამის ჟამსაა საძიებელი. ვინაიდან, კოლხები პირმშოა უდიდესი იბერიული ცივილიზაციის, მაგრამ ვერც გაისბერგი იძლევა ზუსტ ცნობას კოლხეთის სახელმწიფოს შექმნის და მისი აღზევების ჟამის შესახებ. ყოველივე ამის მიზეზი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც დაიწყო იბერიულ-კოლხური ცივილიზაციის დაკნინების პროცესი, (რომელსაც ზესაიდუმლოებითი მიზეზი გააჩნდა, რის შესახებ, ამავე გაზეთის წინა ნომრებში სრულად მაქვს გაშუქებული) დაიწყო, მკვეთრად დაბალ საფეხურზე მდგომი ინდოევროპული მოდგმის (ძვ. ბერძნების) ფართომაშტაბიანი ექსპანსია პირველი ცივილიზაციის წინააღმდეგ. გაბატონებულთა მიერ ხდებოდა ჩვენი წინარე ისტორიის, (იბერიულ-კოლხური) კვალის წაშლა, გაყალბება და საკუთარზე მორგება. ცნობისათვის: ,,ღმერთების, ქალღმერთების, ტიტანების, გმირების, პრეისტორიული ძეგლების, პლანეტების და ისტორიული მნიშვნელობის ტოპონიმების. სახელწოდებები ძველი კოლხების შექმნილია,(რომელთა სახელებმა, სამწუხაროდ დღემდე ვერ მოაღწიეს), რაც შემდგომ, (როგორც უკვე ავღნიშნე) ძვ. ბერძნების მიერ წაშლილი, გაყალბებული და მითვისებული იყო, მაგრამ საბედნიეროდ პრეისტორიული სახელებისა თუ სახელწოდებების (ტოპონიმები) განმარტებებს მხოლოდ მშობლიური ენა იძლევა და არა სხვა ენები, მათ შორის (ისტორიაპარია) ძვ. ბერძნების. და ეს ენა გახლავთ: მეგრულ-ლაზურ-სვანური. ამ სამ ენაშია თავმოყრილი იბერიულ-კოლხური ცივილიზაციის ბრწყინვლება, რაც საშუალებას გვაძლევს, ჩვენი მშობლიური წინარე ისტორია უკეთ წარმოვაჩინოთ.

ახლა, რაც შეეხება გაისბერგის ცნობას: ,,ოქროს მოპოვების ხელოვნებასთან ერთად კოლხები სხვა ხელოვნებასაც ფლობდნენ". ეს იყო ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგები, რომელიც ხელოვნების ძალიან მაღლ დონეზე ქონდათ აყვანილი, რაზეც მეტყველებს რიტორიკის, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი საგანმანათლებლო სფეროს არსებობა, რომელიც განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, ,,ფაზისის აკადემიაში" ზეუნივერსალურ ცოდნას დაუფლებულ ადეპტატთვის, რომ მათ, ხელოვნების მაღალ დონეზე გამართულად, დამარწმუნებლად, საზოგადოების ყურადღების მიქცევის (მონუსხვის) მიზნით, ღრმად ჩაებეჭდათ მათ გონებაში მიწოდებული ცოდნის აუცილებლობა, რამაც ხელი შეუწყო განათლებული მოდგმის ჩამოყალიბებაში, ამიტომ იწოდებოდნენ კოლხები მაღალი კულტურის მატარებელ რასად, (რამაც არსებითად შეუწყო ხელი კოლხეთის აღზევებას. რის შესახებ, მკაფიოდ აღნიშნავს აპოლონიოს როდოსელი: ,,ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება ძლევამოსილ კოლხეთის მეფეს თუმც შორს არის, თუ მოინდომა ელადაშიაშიაც წავა სალაშქროდ". და, აი, ამ დროს, ,,არგონავტები", იასონის მეთაურობით თავისუფლად შემოდიან კოლხეთში და როგორც ვიცით კოლხი მედეას დახმარებით, (მცირედი დანაკარგებით) თავისუფლად იტაცებენ ოქროს საწმისს და მშვიდობიანად ბრუნდებიან თავიანთ ქვეყანაში. ცოტა არ იყოს გაკვირვებასაც იწვევს როდოსელის სიტყვები, კოლხეთის მეფის აიეტის ძლევამოსილების შესახებ: ,,თუ მოინდომა ელადაშიაც წავა სალაშქროდ". მასზეა ნათქვამი: ,,ფიცი მწამს ბოლო მაკვირვებს"- ამით ხომ ის თავად მიდის თავის სიტყვების საწინააღმდეგოდ.

კოლხეთის ძლევამოსილ მეფე აიეტს, რომელსაც თავისი უსაზღვრო ძალით ელადის დალაშქვრა თავისუფლად ძალუძს, ვიღაც უცხოტომელი, (იასონი) ხუთი ათეული არგონავტებით (როგორც უკვე ავღნიშნე) თავისუფლად იტაცებს ,,ოქროს საწმისს" და ეს მაშინ როდესაც აიეტისთვის წინასწარ იყო ცნობილი არგონავტების განზრახვის შესახებ. მიუხედავად ამისა, მათთან თურმე,ბრძოლაშიც ებმევა სასტიკად მარცხდება და ყველაზე საშინელი, იღუპება! ეს ხომ აშკარა სიყალბეა, რომელიც ზედაპირზე ტივტივებს და მისი დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად შესაძლებელია. მაშინ, როდესაც დიოდორე სიცილიელის ,,ბიბლიოთეკის" თანახმად მეფე აიეტის მეფობის ხანაში მარტო სვანებს კარგად გაწრთვნილი 200 ათასი ლაშქრის საომრად გამოყვანა შეეძლო.

აქედან გამომდინარე, არგონავტების მიერ კოლხეთიდან ოქროს საწმისის მოტაცება ვერ იქნება ისტორიულ ფაქტად გაზიარებული და მას, წინასწარ გამიზნული როდოსელის და სხვათა ბოდვად მივიჩნევ. მაგრამ, (ჩვენდა სამწუხაროდ) ამ ნაბოდვარმა მსოფლიო ისტორიაში დაიმკვიდრა თავისი მყარი ადგილი, როგორც ისტორიული რეალობა. რის შესახებ, ქართველი მეცნიერების უმრავლესობა (დღემდე) სრული დუმილით პასუხობს ძვ. ბერძენი ,,კორიფეების" ძალადობით თავმოხვეულ კოლხეთის ისტორიის აშკარა გაყალბების უამრავ ფაქტებს.

ასევე დაინტერესებული მკითხველი აღნიშნულთან დაკავშირებით ელის ჩემს მიერ უარყოფილ კოლხეთიდან ,,არგონავტების" მიერ ,,ოქროს საწმისის" მოტაცების ფაქტს. კეთილი და პატიოსანი! მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად:

პირველი-კოლხეთიდან ,,ოქროს საწმისის" მოტაცება, არა კოლხეთის მეფის აიეტის სიცოცხლეში, ანუ კოლხეთის სამეფოს ზეობის ხანაში იყო შექმნილი, არამედ რამოდენიმე ათასი წლის შემდეგ, როდესაც კოლხური სამყაროს ბრწყინვალების ხანა უკვე დაკნინებული იყო.

მეორე-კოლხეთის მეფე დიოდორე სიცილიელის ,,ბიბლიოთეკის" თანახმად იყო ჰელიოსის ვაჟი. დიდად განსწავლული, საოცარი წინასწარმეტყველური ნიჭით დაჯილდოებული, ძლიერი სახელმწიფო მოღვაწე და სამხედრო სტრატეგი. ასევე, უცხოტომელების მიმართ სასტიკად ულმობელი. მან წინასწარ განჭვრიტა რა ,,არგონავტების" მოსვლის მიზეზი და შექმნა ყალბი ოქროს საწმისის იმიტაცია, რომელიც მუხაზე იყო დაკიდებული და მის მცველებად დრაკონი და ცეცხლისმფრქვეველი ხარები დააყენა. (რაც შეეხება დრაკონს, ეს იყო მცველის სახელი, რომელსაც შემდგომ პოეტებმა სასწაულებრივ თავზარდამცემ ცხოველად წარმოაჩინეს). ,,არგონავტებმა" კოლხეთიდან ვერ გაიტაცეს ოქროს საწმისი, რადგან ,,ოქროს საწმისის" თაობაზე ძველ საბერძნეთში შემდეგ არაფერი თქმულა. ისმის კითხა: რატომ? საქმე იმაში გახლავთ, რომ კოლხეთიდან ,,არგონავტებს" (როგორც უკვე ავღნიშნე) არავითარი ,,ოქროს საწმისი" არ გაუტანიათ. ,,არგონავტებმა" კოლხეთიდან მხოლოდ მოოქროვილი, ყალბი ,,საწმისი'' გაიტაცეს, რომელსაც საბერძნეთის სახელმწიფოებრიობისათვის არავითარი დიდება არ მოუტანია.

მესამე-დავუშვათ, არგონავტებს მართლაც გაეტაცათ ოქროს საწმისი, რომელზეც დაწერილი იყო ღვთის სიბრძნე, ანუ ,,კირიბზე" დაწერილი კანონი-ღვთისა ძვ. ბერძნები ვერც კი შეძლებდნენ ,,კირიბზე" დაწერილ ღვთის სიბრძნის წაკითხვას, ვინაიდან მათთვის გაუგებარი დამწერლობით იყო შესრულებული. რისი წაკითხვა მხოლოდ კოლხ ქურუმებს (წმინდა ბერებს) შეეძლოთ. ასე, რომ ძვ. ბერძნები დიდად გაბრიყვებულნი და დამარცხებულნი დარჩნენ. რომელთა სახელმწიფოებრიობასაც დიდხანს არ უარსებია. იგი დაეცა და დაეცა თავისი ცოდვების გამო ძალიან ძლიერ.

მეოთხე-მინდა, ასევე თქვენი ყურადღება მივაპყრო ცნობილი ინგლისელი მეცნიერის (ქართველოლოგი) დევიდ მარშალ ლანგის სიტყვებს, რომელმაც მსოფლიოს გასაგონად ხმამაღლა განაცხადა: ,,აქ აზიდულა პრომეთეს ამაყი მთა, აქაა წარღვნამდელი ხალხის აკვანი დარწეული, აქ დამარცხდა პირველი ნიმვრიოდი, ბაბილონის სამეფოს დამფუძნებელი ბიბლიური გმირი და აქვე ნახა სამარე, ძვ. კოლხეთში უვლიათ ,,არგონავტებს", სასტიკად დამარცხებულნი უკან გაბრუნებულან, ასევე აქ დამარცხდა ცბიერი ოდისევსი".

მეხუთე-რაც შეეხება თუ რატომ ვერ გაიტანდნენ კოლხეთიდან ,,არგონავტები" ,,ოქროს საწმისს". აქ არის სიბრძნე! ჩვენ ვიცით, რომ ,,ოქროს საწმისი", იგივე ,,კირიბი" ცხვრის ტყავია, რომლის ფორმისაა საქართველო თავისი გეოგრაფიული არეალით, (რუკა) რისი გატანა პრაქტიკულად შეუძლებელია, რამეთუ ,,ოქროს საწმისი" თავად საქრთველოა! ამას ვერ მიხვდნენ ,,არგონავტები", (ვინაიდან არ ეყოთ გონება, (განათლება) ) და ბოლომდე გაბრიყვებულნი დარჩნენ, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს კოლხეთის ლეგენდარული მეფე აიეტის უბრწყინვალეს გონზე.

ეხლა, რაც შეეხება ცნობას, ნოეს სასულიერო სკოლის შესახებ, რომელიც ასევე გაშუქებული მაქვს ამავე გაზეთის წინა ნომრებში... სადაც ისწავლებოდა ,,კირიბზე" დაწერილი ღვთის სიბრძნე, მარადიული კანონი ღვთისა, ეს იყო წარღვნის შემდგომი პირველი სასულიერო სკოლა მაშინდელ მსოფლიოში, რომელიც მდებარეობდა აქ, ჩვენთან! სამეგრელოს ტერიტორიაზე. (ხობის რაიონი სოფელი ურთა, ჯეგეთას მთაზე), რამოდენიმე ათასი წლის შემდეგ აღნიშნული სკოლა იცვლის თავის ადგილსამყოფელს და მისი დაარსება ხდება ქ. ფაზისში, (დღევანდელი ფოთი). რომელიც ლაზი მამების (წმინდა ბერების) მიერ უფრო მაღალ საფეხურზე იქნა აყვანილი, სადაც სასულიერო განათლებასთან ერთად ისწავლებოდა ზუსტი საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელმაც ,,ფაზისის აკადემიის" სახელწოდება მიიღო და რომელსაც მაშინდელ მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნდა. არაფერს ვიტყვი დღევანდელ უმაღლეს საგანმანათლებლო ცენტრებზე, რომელიც განფენილია მთელს მსოფლიოში. შედარებაც კი დიდ უხერხულობას იწვევს, იმდენად დაბალ საფეხურზე დგას, რომელსაც არსად მივყავართ, გარდა გონის გამოთაყვანებისა...

და ბოლოს! მივადექით ჩვენი თემის მთავარ საკითხს ფუთის წარმოშობის ისტორიას, რომელიც ასევე გაშუქებული მაქვს გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" №8 (274) 23 აგვისტო 2018 წელი. ,,ბრძოლა იბერიულ ცივილიზაციასთან დღემდე გრძელდება" და ასევე ამავე გაზეთის 2018 წლის 26 თებერვლის №2 (268) ნომერში ,,პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელის ერთი სენსაციური აღმოჩენის შესახებ".

გთავაზობთ ამონარიდს აღნიშნული წერილიდან: ,,ფოთი გაქართებული სახელწოდებაა პრეისტორიული ფუთისა, რომელიც წონის ერთეულს 16 კგ-თან არის ასოცირებული: ისმის კითხვა: რა კავშირშია წონა ცოდნასთან? საქმე იმაში გახლავთ, რომ ადამიდან -ნოემდე, (წარღვნა) სასულიერო სკოლის 9 პატრიარქის ხანა 7625 წელს მოიცავს, ხოლო, ნოედან, (წარღვნის შემდგომი პერიოდი) დღემდე 8 ათას წელს მოითვლის, რაც თითქმის 16 ათასწლოვან ცოდნის მარაგს ნიშნავს, ვიდრე ქვეყნის აღსასრულამდე."

აქედან გამომდინარე: ფუთი, რომელიც შეადგენს 16 კგ-ს, გადატანითი მნიშვნელობით, ნიშნავს 16 ათასწლოვან ზეუნივერსალურ ცოდნას, როგორც გადატანითი მნიშვნელობით; ,,ოთხი დღე-ოთხიათას წელს", ,,ათასი წელი ვითარცა გუშინდელი დღე", ,,ლაზარე-ლაზურ ანბანს", ასევე ფუთი განათლების ცენტრს, (ქალაქს) როგორც საუნივერსიტეტო ქალაქი თბილისი და სხვა.

აი, ასეთია ფუთის წარმოშობის ისტორია, რომელიც ძალიან გვიყვარს და ვეთაყვანებით მას! და, რომელსაც ასე დუჟმორეულნი ებრძვიან მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძისა და ნუგზარ ვანიშვილის დაჯგუფება. აი, რას აცხადებენ ისინი:

,,ფოთი არ არის ქალაქი ფაზისი, და, არც მდ. რიონია მდ. ფაზისი". ქ. ფაზისი მდებარეობდა გონიოსთან ახლოს, ახალ სოფელში-აჭარა. ხოლო მდ. ფაზისი იყო მდ. ჭოროხი, სადაც ,,არგონავტებმა" შესცურეს". იმდენად გამაოგნებელია ამ სექტანტური დაჯგუფების ,,მტკიცებულებანი", რომ კითხვა თავისით იბადება: ,,ვინ არიან წარმოშობით ამ სექტანტური დაჯგუფების წევრები?! ვინაიდან ძვ. ბერძნებსაც კი აზრადაც არ მოსვლიათ ისტორიული ფაზისის ადგილმდებარეობის შეცვლა, სხვას ვერაფერს ვიტყვი, გარდა იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას შინაურ მტერზე დიდი მტერი არასოდეს ჰყოლია.

სტეფანე ბიზანტიელი, დაწვრილებით აღწერს კოლხეთის ამ მონაკვეთის შესახებ: ,,ეა" გაშენებული იყო აიეტის მიერ, რომელიც 300 სტადიონით დაშორებულია ზღვას მას უვლის ორი მდინარე ,,ჰიპპოს" და ,,კიანოს" (მდ. აბაშა და მდ. ტეხური 300 სტადიონი დაახლოებით 50 კმ-ია. კოლხეთის დედაქალაქი ,,ეა"-დან დაშორების ეს მანძილი ზუსტად უდგება ქ. ფაზისს).

,,...ქ. ფაზისი, გაშენებულია ზღვასა, მდ. ფაზისსა და ტბას შორის, (პალიასტომის ტბა). რაც შეეხება ამ სექტის ,,მტკიცებულებას" მდ. ჭოროხი, არცერთ ისტორიულ წყაროებში არ მოიხსენიება მდ. ფაზისად, რადგან ის არასდროს წარმოადგენდა თავისი სწრაფი დინებით და მოვარდნილი ქვაღორღით დიდ სანაოსნო საშუალებას, სადაც დიდი ხომალდები ივლიდნენ. ასევე ახალი სოფელიც არ გახლდათ ისტორიული ქ. ფაზისი. ახალი სოფელი თავისი სახელწოდებიდან გამომდინარე ახაშენს ნიშნავს, რომელსაც არავითარი პრეისტორიული დატვირთვა საფუძვლად არ უდევს. ასევე მდ. ჭოროხსა, ზღვასა და ახალსოფელს შორის არც ტბა მდებარეობს.

აქედან გამომდინარე, ვაცხადებ: ვინც შეგნებულად ცდილობს ჭეშმარიტი ისტორიის წაშლას, თავად ისტორია წაშლის მას, თითქოს არასოდეს არსებულიყო თავისი სამშობლოს ისტორიისათვის.

დაიცავით და აამაღლეთ საკუთარი სამშობლოს ისტორია. იბრძოლეთ მისი დიდებისთვის. და მაშინ, თქვენც ამაღლდებით საკუთარი სამშობლოსა და მომავალი თაობების წინაშე, როგორც ღირსეული შვილები კოლხური ცივილიზაციისა, ამ იმედით გემშვიდობებით...

პატივისცემით,

**ნიკოლოზ იბერი**
**ფუთი**
4 აპრილი 2019 წ.

## 29 აპრილი ხსოვნის დღეა
# სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება
## წინაპართაგან წავიდა ყველა...

### საზოგადო, სამეურნეო და პოლიტიკური მოღვაწეები, პედაგოგები


გერონტი
კუხალეიშვილის


ლეილა
კაკულია


ნათელა
რუხაძე


ირაკლი
მოწერელია


ვანო
ზოდელავა


რეზო
კვარაცხელია


ნოდარ
კურდღელია


ნანი
ქანთარია

მიდიხარ, ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის პირას თივას თიბავდე,
ვინ სთქვა შენი გარდაცვალება,
არა, უთუოდ დღეს დაიბადე.

მიდიხარ, აღარ დაგემდურება,
არც მიწიერი არც ზეციერი,
ვინ სთქვა შენი უბედურება,
არა, დღესა ხარ შენ ბედნიერი.

მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა,
სხვა ბინა მარად იყო ზღაპარი,
ვინ სთქვა შენი მიუსაფრობა,
არა, შენ ჰპოვე თავშესაფარი.

მიდიხარ, შენს ბედს ბევრი ინატრებს
ბედნიერს, ბედი სხვა არსად არი,
შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს,
შენ უკვდავების ხარ ბინადარი..


პიმენ
ნაცვლიშვილი


ვერა
შელია


თინა
ჭოჭუა


ლიანა
მხეიძე


პეტიკო
ზამბახიძე


**სერგო**
**ტატარინოვი**


**ჯემალ**
**თოფურია**


საშა
ფულაია

# სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი სპორტი

## ქალაქის მერმა ელენე წოწონავას მიღწეული წარმატება მიულოცა




ქალაქ ფოთის მერი გოჩა კურდღელია 20 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის საქართველოს ახალგაზრდული ჩემპიონატის გამარჯვებულს ელენე წოწონავასა და მის მწვრთნელებს დავით კოდუასა და გოჩა ჩაჩუას შეხვდა. 13 წლის ელენე წოწონავას გამარჯვება სენსაციური მოვლენა იყო ქართული ჭადრაკის ისტორიაში. „სასიხარულო და საამაყო ფაქტია, რომ 13 წლის ელენე წოწონავა საქართველოს ჩემპიონი გახდა 20 წლის მოჭადრაკე ქალთა შორის.

ფოთი ყოველთვის გამორჩეული იყო ნიჭიერი ახალგაზრდების სიმრავლით.ბევრი გამოჩენილი სპორტსმენი, მათ შორის მოჭადრაკე აღიზარდა ფოთში. მოხარული ვარ რომ ასეა დღემდე და მომავალშიც ასე იქნება.

,,მინდა მხარდაჭერა აღვუთქვა ელენეს. ჩვენ მზად ვართ ყველა ნიჭიერ ადამიანს შევუწყოთ ხელი სპორტულ კარიერაში წინსვლისთვის-“ განაცხადა ქალაქის მერმა შეხვედრაზე.

## კანოე და ბაიდარებით ნიჩბოსნობა

მიმდინარე წლის 6-7 აპრილს ქალაქ ფოთში მდინარე კაპარჭაზე გაიმართა საქართველოს პირველობა კანოე და ბაიდარებით ნიჩბოსნობაში, სადაც მონაწილეებას ღებულობდნენ: თბილისის, მცხეთის, რუსთავის, დუშეთის, ქუთაისის, ბათუმისა და ა(ა)იპ ქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების ნიჩბოსნები. პირველობაზე ფოთელმა ნიჩბოსნებმა წარმატებით იასპარეზეს:

გიორგი გაგუა - I ადგილი, 1000 მ. გაცურვაზე

ლუკა დობორჯგინიძე - I ადგილი, 500 მ. გაცურვაზე

თემო ჩიტაია - II ადგილი, 500 მ. გაცურვაზე

გია გაბედავა - I ადგილი, 200 მ. გაცურვაზე

ლიდია სულაბერიძე - I ადგილი, 200 მ. გაცურვაზე

გიორგი კვერნაძე - II ადგილი, 200 მ. გაცურვაზე

ილია ზარნიძე - II ადგილი, 200 მ. გაცურვაზე

დათო ჯანჯღავა - III ადგილი, 200 მ. გაცურვაზე

მისასალმებელია ის გარემოება, რომ სამი 18 წლამდე ასაკის ფოთელი ნიჩბოსანი აყვანილ იქნა საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში. ესენი გახლავთ: ლიდია სულაბერიძე, ლუკა დობორჯგინიძე და გიორგი გაგუა, რომლებიც ამჟამად ქალაქ ფოთში, მალთაყვაში გადიან შეკრებას, რათა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ტურნირზე, რომელიც გაიმართება 26-27 მაისს სლოვაკეთში.



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური ულოცავს სპორტსმენებს, კანოე-კაიაკის სასპორტო სკოლის მენეჯერს აკაკი იოსავას და მწვრთნელებს გიორგი ტაბატაძეს, ლევან რამინაშვილს და ზურაბ მალანიას მიღწეულ წარმატებას.

## ხსოვნა

### ,,აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა"

### აკაკი კუპრაძე



19 აპრილი შენი დაბადების დღე იყო ბატონო აკაკი. შენ კუპრაძეთა გვარის ღირსეული წარმომადგენელი იყავი, პატიოსანი, მშრომელი და გულიანი. რასაც აკეთებდი გულით აკეთებდი, მამა, შოთა კუპრაძე მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა და დედის ამარა იზრდებოდით შენ და შენი და. ისიც პატიოსანი და მშრომელი ქალბატონი. წარმოებაში მოწინავე და დაფასებული.

სკოლაში წარჩინებული სწავლითა და განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩეოდი. სკოლის პერიოდში ჩაები ეროვნულ მოძრაობაში. 1956 წლის მარტში ქართველმა ხალხმა პირველად იგრძნო თავისუფლების სიო. ვოლუნტარისტ ხრუშოვის მიერ ყბადაღებული სტალინის პიროვნების კულტად გამოცხადების გამო საქართველო საპროტესტო აქციებმა მოიცვა.ქართველმა ხალხმა იგი აღიქვა როგორც შეურაცხყოფა და მოითხოვა საბჭოთა კავშირის რიგებიდან გამოსვლა. ამ საერთო საპროტესტო აქციებში პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებიც აქტიურად ჩაებნენ, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ სკოლის მასწავლებლები სერინა თავაძე და ეთერ ბასილაშვილი. მათ შორის იყავი შენც. შენ და შენმა თანაკლასელმა იური პოპოვმა, შემდეგში უკრაინის მოქალაქემ და ცნობილმა მფრინავმა დაამზადეთ შესანიშნავი თაბაშირის გვირგვინი. სტალინის გამოსახულებით. გადაწყდა აღნიშნული გვირგვინი მიგეტანათ გორში, სტალინის ძეგლთან. 5 მარტს სკოლის მე-11 კლასელთა ჯგუფი გაემგზავრა გორში. ადგილობრივმა მიტინგის ორგანიზატორებმა გირჩიათ გვირგვინი მიგეტანათ სტალინის სახლმუზეუმში. ასეც მოიქეცით. გორიდან გაემგზავრეთ სატვირთო მატარებლით თბილისში. რამეთუ ცნობილი იყო, რომ მტკვრის სანაპიროზე სტალინის ძეგლთან განუწყვეტლივ იმართებოდა საპროტესტო მიტინგები. მთელი ერთი დღე და ღამე დაყავით სტალინის ძეგლთან. 8 მარტს დაბრუნდით ფოთში. შემდეგ მოხდა ის რაც მოხდა. 9 მარტს დილით დაარბიეს მიტინგის მონაწილეები და დახოცეს ქართველი ახალგაზრდობა. თქვენი ჯგუფის წევრებიც გარიცხულ იქნენ სკოლიდან. მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ აღგადგინეს და მოგცეს საშუალება დაგემთავრებინათ საშუალო სკოლა. ასე მიტინგების ფონზე დაამთავრე ფოთის პირველი საშუალო სკოლა 1956 წელს. იმავე წელს გაგიწვიეს ყოფილი საბჭოთა არმიის რიგებში. რომელიც პირნათლად მოიხადე.

სკოლაში გამოგყვა ხატვის საოცარი ნიჭი. კარგად ფლობდი ფერების საიდუმლოს. თბილისში ჩასულმა სამხატვრო გალერეაში დაათვალიერე ქართველ მხატვართა ნამუშევრები და არ გაოცებულხარ-ასეთებს მეც დავხატავდიო ჩუნმად გადაულაპარაკე მეგობარს. მალე შექმენი რამოდენიმე პეიზაჟი. შენი იმ დროის ნახატებს შორის გამოირჩეოდა სტალინის პორტრეტი. რომელიც სკოლას უსახსოვრე. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ოჯახური პირობების გამო იძულებული იყავი მუშაობა დაგეწყო ფოთის პირველ ავტოსაწარმოში. აქ თავი გამოიჩინე როგორც პრინციპულმა, მაღალი პასუხისმგებლობის მქონემ, მუხლჩაუხრელმა მშრომელმა. პირნათლად ასრულებდი შენზე დაკისრებულ მოვალეობას. ასე გადიოდა წლები. იმ წლებში დაოჯახდი. ცოლად შეირთე ელექტრომანქანური გამაძლიერებელი ქარხნის ინჟინერტექნოლოგი მზია ფანჩულიძე.

სამსახური, ოჯახი, სამეგობრო, სამეზობლო, სანათესაო. აი, ამ წრეში ბრუნავდა შენი ცხოვრების არეალი. სადაც არცერთ რგოლში არასოდეს ჩაჭრილხარ. დიდი გული გქონდა და ყველას ეფერებოდი, ესიყვარულებოდი და შენც სიყვარულით იყავი გარემოსილი. შენი კარმიდამო დამშვენებული იყო ვარდყვავილებითა და ხეხილის ხეებით. მინდიასავით ესიყვარულებოდი მათ და მათი მეგობარი იყავი. მაგრამ რას იზამ სანთელივით გაილია შენი ცხოვრება. წახვედი ამ ქვეყნიდან დამაშვრალი და ვალმოხდილი. დიდი ტკივილი დაუტოვე დარჩენილებს. შენი მეუღლე ქალბატონი მზია ცრემლად იღვრება შენს ხსენებაზე.

19 აპრილს შენს დაბადების დღეზე შევიკრიბეთ შენი ახლობლები და მეგობრები. დაინთო წმინდა სანთლები და ტკბილად მოგიგონეთ. მალე აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული დადგება. ისევ მოვალთ შენს საფლავთან და გადავაგორებთ წითელ კვერცხებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

მეგობრები

## ნოდარ კოსტავას ხსოვნას

### სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა

გაილია კიდევ ერთი კარგი ფოთელის წუთისოფელი, შრომით, წვალებით და მაინც სიხარულით. უყვარდა სიცოცხლე, ოჯახი, ახლობლები, უყვარდა თავისი საქმე და ვალმოხდილი მიდის ამ ქვეყნიდან. მისი თაობა სამამულო ომის დამთავრების დროს მოევლინა ქვეყანას, როცა ყველას თითქოს ერთნაირად უჭირდა და ამან ერთგვარად განსაზღვრა მისი ხასიათი, ჭირთა თმენა, თანაგრძნობა, იყო ბავშვობა, უფრო მეტი პასუხისმგებლობა, არ იყო გართობა, ფუფუნება. ნოდარი ადრევე შეუდგა შრომით საქმიანობას, წლების განმავლობაში მუშაობდა გემთმშენებელ ქარხანაში, სადაც კარგი სპეციალისტისა და მშრომელის სახელი დაიმკვიდრა, უყვარდა თევზაობა, იგი შემოსავლის წყაროც იყო-ღამის თევა პალიასტომზე, ზღვაზე, თუმცა მაშინ ბრაკონიერობა უცხო გამოთქმა იყო, ისინი იცავდნენ ბუნებრივ ბალანსს, ამ თაობას მხიარული დღეებიც ბევრი ახსოვს, ერთმანეთის მოფერება, სტუმართმასპინძლობა, კაცთმოყვარეობა, ერთმანეთის გატანა, კეთილი, უღალატო კაცის სახელი ატარა, როგორც ნაღდმა ფოთელმა.

რამდენად დიდი მეგობრობა შეეძლოთ, ტკივილიც უფრო მეტი ახლდა ცხოვრებას, სამუდამო განშორების გამო - როცა ვერაფერი ავსებს ახლობლების დანაკლისს, ასე ძალიან განიცადა მეგობრის, გურამ კუტალაძის ამ ქვეყნიდან წასვლა, სიკვდილი გარდაუალია, მაგრამ მთავარი ისაა, როგორ გამოიყენებ სიცოცხლეს. რა მიჰყვება საგზლად იმ ქვეყნიურ გზაზე, მან წუთისოფლის ვალი მოიხადა და პირნათელი მიეახლება წინაპრებს. .



სიცოცხლის ძაფი არ წყდება, ნოდარ კოსტავამ დატოვა ოჯახი, როგორც ციხე-კარი მისი კაცობის, რომლის გაძლიერებისთვის ყველაფერი გააკეთა, მეუღლესთან მაყვალა მალაზონიასთან ერთად ღირსეული შვილები აღუზარდა ქვეყანას. თემურ და თამილა კოსტავები. მწარედ დასტირის საყვარელ ძმას და გულნარა კოსტავა-ჩხარტიშვილი.

ძალიან განიცდიან მოსიყვარულე ბაბუასთან განშორებას შვილიშვილები მედეა, ნინო, ინგა და ზაზა, შვილთაშვილები-ლიანა, თაკო, გიორგი, რომლებმაც ალალი ცრემლი გააყოლეს დიდ ბაბუას უკანასკნელ გზაზე.

გავა წლები და ყოველთვის ტკბილად მოიგონებენ ამ, მართლაც უწყინარ, კეთილშობილ კაცს, რომელიც დიდხანს დარჩება ახლობლების, მეგობრების მეხსიერებაში.

ღმერთს ებარებოდეს მისი დიდებული სული.

ეგობრები, ახლობლები...

## მხატვრული ხედვა, ახალი დიზაინი



*თუ გინდათ თქვენი სამუშაო ადგილი, ოფისის გარე ხედი, ინტერიერი გაალამაზოთ, მიმართეთ სარეკლამო სამსახურს.*

*თქვენს დაკვეთას შეასრულებს მხატვარ-დიზაინერი რევაზ ჭანტურია.*

*ტელ: 551 94 00 48 (რიონის სანაპირო, ბაზრის ტერიტორია)*

## განცხადება:

**ქირავდება ორსართულიანი კაპიტალური სახლი ქალაქის ცენტრში, განაშენიანებული ეზოთი.**

**მის:იერუსალიმის №4**

**ტელ: 551 499 555**

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში“

E-mail: k.khobalia@gmail.com

რედაქტორი ზ. აბრალავა